საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ვაშაკიძე ელზა ტიტეს ასული

ვაშაკიძე ელზა ტიტეს ასული (დ. 5. I. 1950, ხონი), ინფექციონისტი, გასტროენტეროლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1998), პროფესორი (2001). 1973 დაამთავრა თსსი. 1978–81 – მუშაობდა რესპ. ინფექციურ საავადმყოფოში; 1981-იდან თსსუ-ის ინფექციურ სნეულებათა კათედრაზეა, 1999–2006 – ამავე კათედრის გამგეა. 2006-იდან თსსუ-ის ინფექციურ სნეულებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი და სრული პროფესორია. ვ. არის საქართვ. ინფექციონისტთა ასოციაციის წევრი (1973-იდან); ღვიძლის შემსწავლელთა ევრ. ასოციაციის (EASL) ნამდვილი წევრი (2004-იდან); ევრ. ინფექციონისტთა და კლინ. მიკრობიოლოგთა საზ-ბის (ESCMID) წევრი (2006-იდან); ინფექციონისტთა საერთაშ. ასოციაციის (ISID) წევრი (2007-იდან). არის მრავალი სამეცნ. ნაშრომის ავტორი, რ-იც ეხება საქართველოში ინფექციური და ღვიძლის დაავადებების პრობლემატიკას.